საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 71 22/12/2016

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო–საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის #411 დადგენილების ,, საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე–6 მუხლის მე–4 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის #412 დადგენილების „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ „ მე–10 მუხლის მე–4 პუნქტის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 36^2–ე მუხლის მე–3 პუნქტისა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის’ 62-ე მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო–საატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ თოფურიძე

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 06 ოქტომბრის #97 განკარგულების ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო–საატესტაციო კომისიის შექმნისა და კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ მე-2 მუხლი.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 –ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე